სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

02 აპრილი 2026

N 216/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნორიოში შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფის“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განთავსება) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-16 და მე-17 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნორიოში შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფის“ სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განთავსება) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N8;
2. შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფი“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N8 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ო.დ.ჰ. ჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/216-21-4-202604022220

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE